186
1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი — ოქტომბერი

1983 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი—ოქტომბერი 1983 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

65. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის შექმნისა და საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და ფუნქციების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

66. ახმეტის რაიონის სოფელ დართლოს ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების ნაკრძალად გამოცხადების შესახებ.

67. სსრ კავშირის მინისტთა საბჭოს 1983 წლის 28 იანვრის № 98 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

68. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრობისა და ყოფის მუზეუმის სახელწოდების შეცვლის შესახებ.

69. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების შენობის მფლობელთა გადასახადისა და მიწის გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

№ 5

70. „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილ ცხოველთა და მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მისულ სახეობათა და არაორგანული ბუნების ძეგლების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

71. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 25 აგვისტოს № 836 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

72. საქართველოს სსრ ქალაქებში გადიდებულსართულიანი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების მშენებლობის შესახებ.

73. სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის ჩატარების წესისა და თვითდაბეგვრის ოდენობის შესახებ.

74. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 4 აგვისტოს № 752 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ.

75. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 9 მარტის № 120 დადგენილების მე-14 პუნქტის ნაწილობრივი ცვლილების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

65 **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის შექმნისა და საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და ფუნქციების შეცვლის შესახებ**

— „სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების მართვის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 მაისის № 433 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისია თანამდებობათა მიხედვით შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავმჯდომარე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგების საკითხებს განაგებს; კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს სსრ მინისტრი; კომისიის წევრები — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრი, საქართველოს სსრ დამზადების მინისტრი, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი, საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სსრ სამელიორაციო მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი, საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების უფროსი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რომელიც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგების საკითხებს განაგებს, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

კომისიის სამუშაო ორგანოდ იყოს შესაბამისი განყოფილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის შემადგენლობაში.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის დებულება.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის შექმნასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეუნარჩუნდეს საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკურ საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სათათბირო და სარეკომენდაციო ფუნქციები.

დაწესდეს, რომ:

— საბჭოს შემადგენლობაში შედიან მინისტრები და აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალ უწყებათა ხელმძღვანელები, აგრეთვე სხვა თანამდებობის პირები, დანართის თანახმად;

— საბჭოს თავმჯდომარეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

— საბჭოს ეკისრება მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსისა და მისი დარგების შემდგომი განვითარების საპრობლემო საკითხებზე წინადადებათა განხილვა და შემუშავება.

საბჭოს სხდომები ჩატარდეს საჭიროების კვალობაზე, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

ქ. თბილისი, 1983 წ., 11 ოქტომბერი, № 682.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

66 ახმეტის რაიონის სოფელ დართლოს ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების ნაკრძალად გამოცხადების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს წინადადება და ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების კომპლექსის დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით გამოცხადდეს ახმეტის რაიონის სოფელი დართლო და მისი მიმდებარე ტერიტორია ხუროთმოძღვრულ ნაკრძალად.

2. დამტკიცდეს ახმეტის რაიონის სოფელ დართლოს ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების ნაკრძალის საზღვრები 32 ჰექტარი ფართობით (სოფლის

მეურნეობის წარმოების უფლებით) შემდეგ ფარგლებში: აღმოსავლეთით — მდინარე დიდხევი სასაფლაოთი, დასავლეთით — „წისქვილხევი“, ჩრდილოეთით — სალოცავი „მაღალოელი“, სამხრეთით — მდინარე პირიქითი ალაზანი.

3. აიკრძალოს ნაკრძალის ტერიტორიაზე ყოველგვარი მშენებლობა და არსებულ ნაგებობათა გადაკეთება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან შეუთანხმებლად.

4. ხუროთმოძღვრული ნაკრძალის ზედამხედველობა დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ., 12 სექტემბერი, № 618.

67 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 28 იანვრის № 98 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თაობაზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 28 იანვრის № 98 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მდგომარეობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 17 ივლისის № 420 დადგენილების მე-2 პუნქტის მეშვიდე აბზაციდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „მექანიზატორებისათვის ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა თვითმავალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ, აგრეთვე...“

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 28 იანვრის № 98 დადგენილებით შეტანილია ცვლილებანი:

---

* სქემატური რუკა არ ქვეყნდება.

ა) „სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტზე იმ ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ, რომელთა დადება ადმინისტრაციული წესით წარმოებს“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 2 იანვრის № 5 დადგენილებაში, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 27 თებერვლის № 133 დადგენილებით:

— დადგენილების პრეამბულიდან ამოღებულია სიტყვები: „შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულებისა „იმ ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ, რომელთა დადება ადმინისტრაციული წესით წარმოებს“;

— მე-8 პუნქტიდან ამოღებულია სიტყვები: „(აქტი)“ და „(აქტის)“;

— მე-9 პუნქტი ჩაითვალა ძალადაკარგულად;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 1 ივლისის № 476 დადგენილებით დაგზავნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 3 მაისის № 283 დადგენილებით დამტკიცებული მოქალაქეთა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის დებულების მე-10 პუნქტში სიტყვა „აქტი“ შეიცვალა სიტყვით „ოქმი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ., 23 სექტემბერი, № 637.

68 ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის სახელწოდების შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს წინადადება და თბილისის ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმს ეწოდოს „საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმი“.

აღნიშნული ცვლილება მოხდეს ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ., 23 სექტემბერი, № 638.

69 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების შენობების მფლობელთა გადასახადისა და მიწის გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. „ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ“ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 26 იანვრის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის საფუძველზე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები განთავისუფლდნენ შენობათა გადასახადისა და იმ ნაკვეთების მიწის გადასახადისაგან, რომლებიც ამ კოოპერატივების წევრებს მიცემული აქვთ უუფლებო სარგებლობისათვის.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების შენობათა გადასახადისა და იმ ნაკვეთების მიწის რენტისაგან განთავისუფლების შესახებ, რომლებიც ამ კოოპერატივების წევრებს მიცემული აქვთ მუდმივი სარგებლობისათვის“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 23 ოქტომბრის № 642 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1983 წ., 23 სექტემბერი, № 639.

70 „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილ ცხოველთა და მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მისულ სახეობათა და არაორგანული ბუნების ძეგლების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძალებით მომზადდა და 1983 წელს გამოიცა „საქართველოს სსრ წითელი წიგნი“.

წიგნში განმარტებულია ცხოველთა და მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მისული თითოეული სახეობის სტატუსი, გავრცელება, ადგილსამყოფელი, რიცხოვნობა ბუნებაში, გამრავლება, კონკურენტები, დაავადებანი, რიცხოვნობის ცვალებადობის მიზეზები, ტყეობაში მყოფ ცხოველთა რიცხოვნობა, ტყეობის პირობებში გამრავლების მდგომარეობა, დასაცავად მიღებული ზომები, დაცვისათვის აუცილებელ ღონისძიებათა რეკომენდაციები.

„საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილ ცხოველთა და მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მისულ სახეობათა, ბუნების ცოცხალი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაცოცხალი ძეგლების გადარჩენის, კვლავწარმოებისა და კონსერვაციისათვის რეკომენდებულ ღონისძიებათა განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ვ. ზ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყეველობის ინსტიტუტს, „საქშავზღვათევზმშენს“, საქართველოს სსრ მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის პრეზიდიუმს, საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებას განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილ იშვიათ და გადაშენების პირას მყოფ ცხოველთა და მცენარეთა დასაცავად, შესანარჩუნებლად და კვლავწარმოებისათვის.

2. „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილ იშვიათ და გადაშენების პირას მისულ ცხოველთა და მცენარეთა გავრცელების ადგილებში დაცვისა და კვლავწარმოების მიზნით საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაონ ნაკრძალების, ეროვნული პარკების, სპეციალური და სეზონური აღკვეთილების დამატებით შექმნის შეთანხმებული წინადადებანი და სამი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილი ატლანტიკური ზუთხის (ფორონჯი) დასაცავად და კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად დაევალოს „საქშავზღვათევზმშენის“ სამმართველოს შეიმუშაოს დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად შეთანხმებული წინადადება შავი ზღვის ხუთმილიანი ზოლის გამოსაცხადებლად სახელმწიფო საზღვაო ნაკრძალად ფოთ-ოჩამჩირის საზღვრებში და ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიისა და პალეობიოლოგიის ინსტიტუტებს უზრუნველყონ „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილი არაორგანული ბუნების ძეგლების დაცვა-დაკონსერვება.

5. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, სოხუმის, ბათუმისა და ზუგდიდის ბოტანიკური ბაღების დირექტორებმა რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებით გამოყონ თავიანთ ტერიტორიაზე სპეციალური ნაკვეთები და უზრუნველყონ იქ „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილი ამ რეგიონებისათვის დამახასიათებელი მცენარეების გაშენება (თესლის შეგროვების გზით) და იმ ცოცხალი კოლექტივების შენარჩუნება, რომლებსაც ენიჭებათ დიდი სამეცნიერო, სასწავლო, ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობა.

6. თბილისის ზოოლოგიურმა პარკმა უზრუნველყოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და უწყებებთან ერთად „საქართველოს სსრ წითელ წიგნ-

ში“ შეტანილი ნადირ-ფრინველის ცალკეულ სახეობათა მომრავლება ტყეობის პირობებში და მათი ბიოლოგიის შესწავლა, ამ სახეობათა გენოფონდის შენარჩუნება.

7. საქართველოს სსრ მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის პრეზიდიუმმა 1985 წლიდან უზრუნველყოს „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილი ფრინველების (დურაჯი, გნოლი), გამრავლება ვოლიერულ პირობებში ხოხბის ხელოვნურად მოშენების მეურნეობის ბაზაზე და მათი დაბრუნება ბუნებაში.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის, გეოგრაფიის, ბოტანიკის ინსტიტუტებს შეიმუშაონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის კათედრებთან ერთად სპეციალური თემატიკა „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილ მცენარეთა, ცხოველთა ყოველმხრივ შესასწავლად (დღეს არსებული მდგომარეობა, რიცხოვნობა, მცირერიცხოვნობის მიზეზები, რეაკლიმატიზაცია, კვლავწარმოების გზები და ა. შ.) და წარუდგინონ საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს სათანადო მეცნიერული დასკვნები და რეკომენდაციები მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის.

9. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკისა და ფარმაკოქიმიის ინსტიტუტებმა შეიმუშაონ წინადადებანი „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილი ფარმაკოლოგიისათვის საჭირო იშვიათი და გადაშენების პირას მისული მცენარეების ხელოვნურად (თესლით) მომრავლებისათვის.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშაონ სპეციალური ღონისძიებანი მოსწავლეებში ბუნების დაცვის პრობლემის ფართო პროპაგანდისათვის, „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილ მცენარეთა, ცხოველთა და ბუნების ძეგლებისადმი სათუთი, გულისხმიერი დამოკიდებულების, მათი დაცვის ჩვევების ჩასანერგავად და გასაღვივებლად. ამ მიზნით სასწავლო გეგმითა და პროგრამებით გათვალისწინებული საგნების სწავლებასთან ერთად უნარიანად გამოიყენონ სკოლისგარეშე დაწესებულებების საქმიანობა.

11. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ განიხილოს და გადაწყვიტოს სპეციალური საგნის — „საქართველოს სსრ წითელი წიგნის“ — 12 საათიანი კურსის წაკითხვის საკითხი ზოოლოგიის, ბოტანიკისა და ეკოლოგიის სპეციალიზაციით მოსამზადებელი სტუდენტებისათვის.

12. დაევალოთ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროებს აკრძალონ სტუდენტთა და მოსწავლეთა მიერ საველე პრაქტიკებზე დაკვირვებებისათვის „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილ ცხოველთა და მცენარეთა მოპოვება, ფრინველთა ბუდეების მოშლა, კვერცხების შეგროვება და ა. შ.

13. საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ კატეგორიულად აკრძალოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტურისტთა მიერ „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილი ნადირ-ფრინველისა და მცენარეულის მოპოვება, მათი ადგილსამყოფელის მოშლა, დაზიანება, კვერცხების, ჰერბარიუმების შეგროვება, კარვების გაშლა იშვიათი ცხოველებისა და მცენარეების გავრცელების ადგილებში და ა. შ.

14. საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიამ 1984 წელს საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის დაკვეთით შექმნას ორნაწილიანი ფერადი ფილმი „საქართველოს სსრ წითელი წიგნი“.

15. დაევალოს საქართველოს სსრ გამსახკომს დაგეგმოს და გამოსცეს საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილი თითოეული ცხოველის, მცენარისა და ბუნების არაორგანული ძეგლის თვალსაჩინო პლაკატების სერია ამ წიგნის მასალების მიხედვით სკოლებში, საბავშვო დაწესებულებებში, სამონადირეო მეურნეობებში, აღკვეთილებსა და ნაკრძალებში, სატყეო მეურნეობასა და საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების ძირეულ კოლექტივებში გასავრცელებლად.

16. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უზრუნველყონ „საქართველოს სსრ წითელი წიგნის“ თარგმნა, ხოლო საქართველოს გამსახკომმა მისი გამოსაცემად მომზადება რუსულ ენაზე 1985 წლისათვის ფართო საზოგადოებრივი ფენების, მეცნიერული წრეებისა და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრები არაქართველი მოსახლეობისათვის.

17. დაევალოთ საქართველოს საზოგადოება „ცოდნას“ და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს შემოიღონ ბუნების დაცვის სახალხო უნივერსიტეტებში ლექციების ციკლი — „წითელი წიგნი გვაფრთხილებს გადავარჩინოთ“ — რაც ხელს შეუწყობს მზრუნველი დამოკიდებულების გაღვივებას ცხოველების, მცენარეებისა და ბუნების ძეგლების დაცვისადმი.

18. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის რესპუბლიკურმა კომისიამ და იუნესკოს პროგრამის — „ადამიანი და ბიოსფერო“ — საქართველოს სსრ ბუნების დაცვის ეროვნულმა კომიტეტმა პერიოდულად განიხილონ გაერთიანებულ სხდომებზე „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილი ობიექტების დაცვის სრულყოფის საკითხები.

19. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა ფართო პროპაგანდა გაუწიოს „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილ ობიექტებს, რისთვისაც მოიწვიოს გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, სოფლის მეურნეობის მუშაკები, წარმოების მოწინავენი, ბუნების ქომაგები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები ამ თემაზე რადიო და ტელეგადაცემებში მონაწილეობის მისაღებად.

20. რესპუბლიკის გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა ფართოდ გააშუქონ და პროპაგანდა გაუწიონ „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილი ობიექტების დაცვისა და კვლავწარმოების საინტერესო პრობლემებს.

21. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილი იშვიათი და გადაშენების პირას მისული ცხოველების, მცენარეებისა და არაორგანული ბუნების ზოგიერთი ძეგლის დასაცავად მათს ტერიტორიაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესაბამისად.

22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილების შესრულებისადმი კონტროლი დაევალოს საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს.

23. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი საქართველოს სახელმწიფო ნაკრძალებში სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების ეტაპობრივად შექმნისა და საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების მიერ ალბომის „საქართველოს ბუნების“ გამოცემის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ., 3 ოქტომბერი, № 650.

71 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 25 აგვისტოს № 836 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„კავშირგაბმულობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთ გადაწყვეტილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 25 აგვისტოს № 836 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— 1-ლი და მე-4 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 9 დეკემბრის № 1633 დადგენილებისა „საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა ტელეფონიზაციის შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 21 ნოემბრის № 799 დადგენილება „საქართველოს სსრ სოფლებში სატელეფონო კავშირის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარების ზომების შესახებ“;

— მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-11, მე- 12 პუნქტები და მე-13 პუნქტი („გ“ ქვეპუნქტის უკანასკნელი აბზაცის გარდა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 დეკემბრის № 661 დადგენილებისა „სოფლად სატელეფონო კავშირის შემდგომი განვითარების შესახებ“.

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 17 ივნისის № 399 დადგენილება „საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სატრანსპორტო საშუალებებით ფოსტის გადაზიდვისა და მიტანის ანაზღაურების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 31 მაისის № 415 დადგენილების თაობაზე“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 25 აგვისტოს № 836 დადგენილების შესაბამისად „სოფლად საფოსტო კავშირის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 15 აგვისტოს № 788 დადგენილებაში შეტანილია შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

ა) მე-3 პუნქტიდან ამოღებულია სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 თებერვლის № 92 დადგენილების შესაბამისად“;

ბ) მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით:

„დ) სასოფლო დასახლებულ პუნქტებში, სადაც არარენტაბელურია კავშირგაბმულობის განყოფილებათა გახსნა, მოაწყონ ფოსტის მუშაობა იმ ვარაუდით, რომ მიიზიდონ კავშირგაბმულობის შტატგარეშე მუშაკებად ფოსტაში შეთავსებით სამუშაოდ სხვა სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სამომხმარებლო კოოპერაციათა მუშაკები და აანაზღაურონ მათი შრომა შეთანხმების მიხედვით საფოსტო კავშირის მეხამე კლასის ოპერატორის სარგოს 25-დან 50 პროცენტამდე ფარგლებში შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელფასის საერთო ფონდის ხარჯზე“;

გ) მე-8 პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„მოკავშირე რესპუბლიკების კავშირგაბმულობის სამინისტროები საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ მათთვის მიცემული საავტომობილო ტრანსპორტით ფოსტის გადაზიდვასა და მიტანას აანაზღაურებენ ავტოტვირთზიდვის ერთიანი ტარიფების მიხედვით. ამ მიზნით საჭაპანო ტრანსპორტის მიცემისას ანაზღაურება მოხდება საჭაპანო ტვირთზიდვის ტარიფების მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 15 კაპიკისა ყოველ გარბენილ კილომეტრზე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ 12 ოქტომბერი, № 659.

72 საქართველოს სსრ ქალაქებში გადიდებულსართულიანი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების მშენებლობის შესახებ

გადიდებულსართულიანი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების მშენებლობის მოწესრიგების და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის გადიდების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ ქალაქებში 6-9-სართულიანი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების დაპროექტება და მშენებლობა განხორციელდეს:

ა) ქალაქ თბილისში — საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით;

ბ) ქალაქებში ქუთაისში, რუსთავში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ფოთში, გორში, ბორჯომში, გაგრაში — საქართველოს სსრ სახმშენის ნებართვით;

გ) რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში — ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს სსრ სახმშენის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს დასკვნით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით.

2. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე 9 სართულზე მაღალი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების დაპროექტება და მშენებლობა დაიშვება შეზღუდული მოცულობით იქ, სადაც ეს გათვალისწინებულია ქალაქების გენერალური გეგმებითა და დეტალური დაგეგმარების პროექტებით, როცა ასეთი მაღლივი მშენებლობა გამართლებულია ქალაქთმშენებლობის მოთხოვნებით და დადასტურებულია ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს სსრ სახმშენის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს, საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციის დასკვნით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით.

3. საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორებმა უზრუნველყონ კონტროლი რესპუბლიკის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში საბინაო მშენებლობის გეგმიანი სტრუქტურისა და საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის ერთი კვადრატული მეტრის საშუალო ღირებულების დაცვისადმი.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 28 აპრილის № 292 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ., 14 ოქტომბერი, № 668.

73 სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის ჩატარების წესისა და თვითდაბეგვრის ოდენობის შესახებ

„ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 5 მარტის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრა ტარდება სოფელ ადგილებში სოფლის ან მოცემულ სასოფლო საბჭოში შემავალი რამდენიმე სოფლის მოქალაქეთა ყრილობის ხმის უმრავლესობით მიღებული დადგენილების შესაბამისად.

თვითდაბეგვრა არ ტარდება ქალაქებისა და დაბების ტერიტორიაზე.

სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრას ატარებენ სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების აღმასკომები. სულ ცოტა 10 დღით ადრე სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან აუწყონ მოსახლეობას მოქალაქეთა იმ ყრილობის დღე, რომელზეც განიხილება თვითდაბეგვრის ჩატარების საკითხი.

2. თვითდაბეგვრით შემოსული სახსრები სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების აღმასკომების მიერ აღრიცხება როგორც სპეცსახსრები და სასოფლო საბჭოს ბიუჯეტში არ შედის, არამედ ხარჯავენ სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების აღმასკომები გზების რემონტის ჩასატარებლად, სკოლების, ხიდების, ჭების, საზოგადოებრივი აბანოების ასაშენებლად და შესაკეთებლად, საავადმყოფოების, ბიბლიოთეკებისა და კულტურის სხვა დაწესებულებების შესაკეთებლად, აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შესაძენად, სახანძრო ფარდულების ასაშენებლად, მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების, სამკითხველოების, ბიბლიოთეკების, კლუბების ასაშენებლად, ბიბლიოთეკებისა და კლუბებისათვის ინვენტარის შესაძენად, სასოფლო წყალსადე-

ნების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ასაშენებლად, აგრეთვე სოფლის კეთილმოწყობის ღონისძიებათა განსახორციელებლად.

თვითდაბეგვრის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად სოფლის მოქალაქეთა ყრილობა აწესებს, თუ რა საჭიროებისათვის და რა ოდენობით უნდა დაიხარჯოს თვითდაბეგვრის სახსრები. თვითდაბეგვრის სახსრების ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომი.

3. აეკრძალოთ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებს თვითდაბეგვრის გზით შეკრებილი სახსრების ამოღება.

4. იმ შემთხვევაში, თუ მეზობელი სასოფლო საბჭოები საჭიროდ მიიჩნევენ თვითდაბეგვრის სახსრების ხარჯზე ერთობლივად განახორციელონ რაიმე ღონისძიება (სკოლის მშენებლობა, ხიდის, გზის რემონტი ან აშენება, სასოფლო წყალსადენების მშენებლობა და ა. შ.), ეს შეიძლება მხოლოდ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი სასოფლო საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

5. მიმდინარე წელს გამოუყენებელი თვითდაბეგვრის სახსრები რჩება სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების აღმასკომების სპეციალურ ანგარიშებზე და მათ შეუძლიათ გამოიყენონ მომდევნო წლებში.

6. მოქალაქეთა ყრილობა ამტკიცებს:

ა) თვითდაბეგვრის შესატანების ოდენობას ცალკეული მეურნეობებისათვის წელიწადში 2-დან 4 მანეთამდე ფარგლებში;

ბ) თვითდაბეგვრის შესატანების გადახდის ვადებს.

7. ცალკეული მეურნეობები და მოქალაქენი თვითდაბეგვრის შესატანების გადახდისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება განთავისუფლდნენ მხოლოდ მოქალაქეთა ყრილობის გადაწყვეტილებით სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის მოხსენების საფუძველზე.

8. თვითდაბეგვრის შესატანებს აწესებს სოფლის მოქალაქეთა ყრილობა არა უმეტეს შემდეგი ზღვრული ოდენობისა:

ა) კოლმეურნეთა და მუშათა მეურნეობებისათვის — არა უმეტეს 4 მანეთისა;

ბ) შინამრეწველთა და ხელოსანთა მეურნეობებისათვის, რომელთაც აქვთ შემოსავალი არა დაქირავების მიხედვით, — 4 მანეთის ოდენობით;

გ) რელიგიური კულტების მსახურთა მეურნეობებისათვის, აგრეთვე იმ მეურნეობებისათვის, რომლებიც კოლმეურნეთა ან მუშა-მოსამსახურეთა კატეგორიას არ მიეკუთვნებიან, — 4 მანეთის ოდენობით.

თითოეული სასოფლო საბჭოსათვის ან სოფლისათვის წესდება ერთნაირი მყარი განაკვეთი.

9. მოქალაქეთა ყრილობის გადაწყვეტილებას თვითდაბეგვრის ჩატარების შესახებ სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომი წარადგენს რაიონული საბჭოს აღმასკომის განსახილველად არა უგვიანეს 1 ივნისისა.

მოქალაქეთა ყრილობის გადაწყვეტილება თვითდაბეგვრის ჩატარების შესახებ ძალაში შესულად ითვლება მისი გამოტანიდან 5 დღის შემდეგ, თუ ამ

ვადაში მას არ გაასაჩივრებს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს შეუძლია გაასაჩივროს მოქალაქეთა ყრილობის გადაწყვეტილება თვითდაბეგვრის ჩატარების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ გადაწყვეტილებით დარღვეულია ეს დადგენილება.

10. მოქალაქეთა ყრილობის გადაწყვეტილება თვითდაბეგვრის ჩატარების შესახებ სავალდებულოა მოცემული სოფლის ან სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლების ჯგუფის ყველა მოქალაქისათვის.

11. თვითდაბეგვრის შესატანებს მოქალაქენი იხდიან სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომში მოქალაქეთა ყრილობის მიერ დაწესებულ ვადებში, ოგრამ შესაბამისი წლის არა უგვიანეს 1 ივნისისა.

12. საჩივარი თვითდაბეგვრის არასწორი გამოანგარიშების თაობაზე სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომში შეიტანება საგადამხდელო უწყების ჩაბარების დღიდან ათი დღის ვადაში.

სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომი მოვალეა განიხილოს მოქალაქეთაგან შესული საჩივრები ათი დღის ვადაში.

სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თხუთმეტი დღის ვადაში რაიონული საბჭოს აღმასკომში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

13. სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომი მოვალეა ჩააბაროს მოქალაქეთა ყრილობას ანგარიში თვითდაბეგვრის სახსრების გამოყენების შესახებ.

14. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს ეკისრება ხელმძღვანელობა და კონტროლი თვითდაბეგვრის ჩატარებისადმი ამ დადგენილების ზუსტი შესაბამისობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ., 14 ოქტომბერი, № 671.

74 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 4 აგვისტოს № 752 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ

„საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 30 მარტის № 312 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 4 აგვისტოს № 752 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, № 1 დანართის თანახმად.

2. შეტანილ იქნეს ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში, № 2 დანართის თანახმად.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 4 აგვისტოს № 752 დადგენილებით:

— ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 29 იანვრის № 51 განკარგულებით დაგზავნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 19 იანვრის № 47 დადგენილების — „მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციათა საავტორო ზედამხედველობის შესახებ“ — მე-3 და მე-4 პუნქტები, ამასთან შენარჩუნებულია მათი მოქმედება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 7 სექტემბრის № 2066 განკარგულებაში აღნიშნული საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთათვის;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით დამტკიცებული სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების (დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 ოქტომბრის № 1614 განკარგულებით) 54-ე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„54. საწარმოს უფლება აქვს მიიწვიოს თავისი სპეციალისტები გენერალურ საპროექტო ორგანიზაციასთან შეთანხმებით საამქროების, უბნების ტექნიკური კვლავაღჭურვისა და რეკონსტრუქციის, ცალკეულ ტექნოლოგიურ პროცესთა სრულყოფის, მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის, საინჟინრო ქსელებისა და ნაგებობების რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, აგრეთვე სამუშაოთა წარმოების პროექტების შესამუშავებლად დაპროექტებისა და მშენებლობის მოქმედი ნორმებისა და წესების სავალდებულო დაცვით. ამასთან მიწვეულ სპეციალისტებს შრომა აუნაზღაუროს საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა შესაბამისი კატეგორიებისათვის დადგენილი წესით“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 19 მარტის № 146 დადგენილებით დაგზავნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 17

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იანვრის № 39 დადგენილების — „მოსახლეობის მასობრივი დასვენებისა და კულტურული მომსახურების ორგანიზაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ — მე-3 პუნქტში სიტყვები: „(სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის ნებართვით)“ შეიცვალა სიტყვებით „(სსრ კავშირის სახმშენის ნებართვით)“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ., 14 ოქტომბერი, № 675.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 14 ოქტომბრის № 675
დადგენილების დანართი № 1

ნუსხა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 4 აგვისტოს № 752 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 4 მაისის № 512 დადგენილება „საპროექტო ორგანიზაციების გამსხვილებისა და წვრილი საპროექტო კანტორების ლიკვიდაციის შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 13 თებერვლის № 193 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში მშენებლობისათვის ტიპობრივი დაპროექტების 1952 წლის გეგმის შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 12 თებერვლის № 122 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში მშენებლობისათვის ტიპობრივი დაპროექტების 1954 წლის გეგმის შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 22 იანვრის № 63 დადგენილება „ლიფტების წარმოების გადიდების, მათი ხარისხის ამაღლებისა და სალიფტე მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გარდა.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 23 ივნისის № 376 დადგენილება „იმ ტიპობრივი დაპროექტების შესახებ, რასაც საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები ახორციელებენ 1955 წელს“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 30 აგვისტოს № 583 დადგენილება „მშენებლობაში ტიპობრივი პროექტების გამოყენების გაფართოების შესახებ“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 13 აპრილის № 268 დადგენილება „მშენებლობაში საპროექტო საქმის გაუმჯობესების შესახებ“, მე-7 პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-10, მე-11, მე-14 და მე-16 პუნქტების გარდა.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 2 აპრილის № 187 დადგენილება „სამრეწველო საწარმოების, ელექტროსადგურებისა და სატრანსპორტო ნაგებობათა მშენებელობის ტექნიკური დონის ამაღლებისა და სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შემცირების შესახებ“.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 22 აპრილის № 214 დადგენილებით დამტკიცებული ცვლილებანი, რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 დეკემბრის № 1048 დადგენილებასთან დაკავშირებით.

10. „სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების უფლებათა დამატებითი გაფართოებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო მშენებლობის ზოგიერთი საკითხის გადაცემის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის № 696 დადგენილების ცნობად და სახელმძღვანელოდ მიღების თაობაზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 22 აგვისტოს № 572 დადგენილების I განაყოფის 1-ლი პუნქტის მეორე აბზაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 14 ოქტომბრის № 675
დადგენილების დანართი № 2

ცვლილებანი,

რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 4 აგვისტოს № 752 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. „სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 7 ივნისის № 355 დადგენილების მე-2 პუნქტში:

ა) პირველი აბზაციდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „მომავალი წლების მშენებლობისათვის“;

ბ) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) 3 მილიონი მანეთი და მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობებისა, რომელთა დაპროექტება ახლად იწყება და რომლებიც შეტანილი არაა საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმების შემადგენლობაში დამტკიცებული დასამუშავებელი პროექტების ნუსხებში, — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით“.

2. „სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების ობიექტების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 დეკემბრის № 676 დადგენილების მე-13 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს სიტყვების: „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „და სსრ კავშირის სახმშენთან“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

75 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 9 მარტის № 120 დადგენილების მე-14 პუნქტის ნაწილობრივ ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს წინადადება, შეთანხმებული თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან, და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 9 მარტის № 120 დადგენილების მე-14 პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს გამოეყოს საკურორტო სამმართველო, უშუალოდ დაექვემდებაროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოსა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს, ეწოდოს მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს თბილისის საკურორტო სამმართველო“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1983 წ., 28 ოქტომბერი, № 696.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5, 1983 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/II-84 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16
საბეჭდი თაბახი 1,5, სააღრიცხვო თაბახი 1,5

შეკვეთა № 73 უე 07839 ტირაჟი 1630

საქართველოს სსრ მს მთავარი სამეურნეო სამმართ. სტამბა